

მიგელ დე უნამუნო

# დონ კიხოტესა და სანჩოს ცხოვრება



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა  
თბილისი 2013

**მიგელ დე უნამუნო**

**ღონ კინოტმესა და სანჩოს ცხოვრება**

წიგნი ითარგმნა ესპანეთის კულტურის სამინისტროს წიგნის, არქივებისა და ბიბლიოთეკათა სამმართველოს დაფინანსებით

**Esta obra ha sido publicada con una subvención de la Dirección General del Libro, Archivos y Bibliotecas**



მთარგმნელი: ვლადიმერ ლუარსაბიშვილი

რედაქტორი: ნატალია ვაჩიშვილი

კომპიუტერული

უზრუნველყოფა: თინათინ კვიციანი

© 2013 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-148-1

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა  
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS  
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

## სარჩევი

მთარგმნელისგან .....	1
პირველი ნაწილი .....	9
მეორე ნაწილი .....	161

## მთარგმნელისგან

სხვადასხვა ეპოქაში „დონ კიხოტეს“ აღქმა განსხვავებული იყო: მეჩვიდმეტე საუკუნეში მას მიიჩნევდნენ ნაწარმოებად, რომელშიც სარაინდო რომანები იყო გაკრიტიკებული, მეთვრამეტეში – როგორც სატირულ ჟღერში წარმოდგენილ მანკებსა და ჩვეულებებს, ხოლო მეცხრამეტეში დასტიროდნენ გაჭირვებულთა და მაღალი იდეალების უნებისყოფო დამცველს. მხოლოდ მეოცე საუკუნეში მოხდა „კიხოტეს“ აღქმა გენიალურ და ღრმად რეალისტურ რომანად. საუკუნეების განმავლობაში ტექსტის განსხვავებული მიღება კონკრეტული ისტორიული რეალობითა და შესაბამისი ლიტერატურული პროცესებით იყო განპირობებული.

მეჩვიდმეტე საუკუნეს თუ შევეხებით, აუცილებელია მონტალბანის ფიგურის ხსენება, რომელიც სერვანტესს რომანის ერთადერთ და მაქსიმალურად წარმატებულ ავტორად მიიჩნევს, როგორც კომედიის შემთხვევაში ლოპეს, ველესსა და კალდერონს.<sup>1</sup>

მეთვრამეტე საუკუნეში სერვანტესის ტექსტი იშვიათად ხვდებოდა ბიბლიოგრაფიულ გამოცემებში. ლუსანი მას საერთოდ არ ახსენებს პოეტიკაში (1737), არც ფეიხოო აღნიშნავს ტექსტში „ესპანეთის დიდება“ (1730), ხოლო ტორეს ვილაროელი კი „კიხოტეს“ ავტორს კევედოს შემდეგ აყენებს.

ამის მიუხედავად, ნაწარმოების მოკლე მიმოხილვა მაინც მოხდა ნიკოლას ანტონიოს ნაშრომში “Biblioteca hispana nova”, ხოლო მისი კვლევების ინიციატორად კი გრეგორიო მაიანს ი სისკარი არის მიჩნეული. მის კალამს ეკუთვნის „მიგელ დე სავედრას ცხოვრება“, რომელიც ბარონ დე კარტერეტის დავალებ-

---

1. „...დაე წეროს რომანები სერვანტესმა, ხოლო კომედიები კი ლოპემ, ლუსი ველესმა, პედრო კალდერონმა და სხვებმა.“ Leopoldo Ruis, *Bibliografía crítica de las obras de Miguel de Cervantes Saavedra*, Madrid, Murillo, 1895-1904 (3 vols.)

ბით დაწერა „კიხოტეს“ პირველი გამოცემისთვის.<sup>2</sup> სერვანტესის ბიოგრაფიასთან ერთად, ავტორი „კიხოტესაც“ განიხილავს, კერძოდ კი ტექსტის ენას, სტილსა და გამონათქვამების ხერხებს. ეს არის პირველი მონოგრაფია სერვანტესის შესახებ.

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში სერვანტესის შესწავლებში წვლილი მიუძღვით ლუსანს, ფეიხოლსა და ფორნერს, ისევე, როგორც ვისენტე დე ლოს რიოსს, ხუან ანტონიო პელისერსა და ხოსე კინტანას, რომელთა კალამსაც ეკუთვნის მნიშვნელოვანი შესავალი ტექსტები „კიხოტეს“ გამოცემებისთვის. სწორედ მათ შეიტანეს გარდატეხა იმ შეხედულებაში, რომლის თანახმად „კიხოტეს“ დაწერის ერთადერთი მიზანი სარაინდო რომანების კრიტიკა იყო.

ამ დროს „კიხოტეს“ თარგმნაც დაიწყო. ინგლისურ ენაზე მისი მთარგმნელის – ჯონ ბოულის გამოცემას დაახლოებით ორი ათასი განმარტება, საკუთარ სახელთა საძიებელი და სპეციფიკურ სიტყვათა განმარტებები ეკუთვნის.

ხუან პელისერს ეკუთვნის „კიხოტეს“ გამოცემა, რომელსაც დართული აქვს ახალი „ისტორიული, ლიტერატურული, მორალური, გრამატიკული და კრიტიკული“ შინაარსის კომენტარები, ასევე საინტერესოა დიეგო კლემენსინის მიერ შედგენილი ახსნა-განმარტებები და შესავალი ტექსტი.

მეთვრამეტე საუკუნის მიწურულსა და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ევროპასა და ამერიკაში განვითარებული ისტორიული ცვლილებები ლიტერატურულ მოვლენებზეც აისახა. როგორც ესპანელი, ისე უცხოელი ავტორები, ჰომეროსისა თუ აპულეის ნაცვლად, სერვანტესს რაბლესა და არიოსტოსთან, განსაკუთრებით კი შექსპირთან აკავშირებენ. „კიხოტე“ უკვე აღარ განიხილებოდა სატირულ ეპოპედად, სარაინდო რომანების კრიტიკად. იგი გახდა მოდელი თანამედროვე რომანისათვის, ადამიანის ცხოვრების ყველაზე დასრულებულ და ღრმა სურათად, როგორც ამაზე მიუთითებდა შელინგი, ისევე როგორც ღრმა ნაციონალურ და მხატვრულ ნაწარმოებად. თავდაპირველად ტიკი, მოგვიანებით კი პაბლო პიფერერი და ორტეგა მიუთითებდნენ, რომ ტრივიალური და ყოველდღიური სერვანტესის ტექსტში იქცა მშვენიერებისა და ეპიკურის სიკაშკაშის

---

2. Londrés, J., y R. Tonson, 1738, 4 vols.

მქონედ, რომლებიც რეალურ სამყაროს აღწერდნენ. დონ კიხოტე გახდა სანიმუშო, სიმბოლური და გაღმერთებული გმირი. კიხოტე და სანჩო წარმოგვიდგენენ არა როგორც ესპანური თვისებებისა და ნაკლთა მქონენი, არამედ როგორც თანამედროვე სამყაროს მითური პერსონაჟები, ერთდროულად იდეალურები და რეალურები, პოეტურები და პროზაულები, სულიერები და მატერიალურები, მარად მებრძოლნი და განუყოფელნი, ვით სული და სხეული. ამგვარად, ერთი შეხედვით თავის შესაქცევად დაწერილი ნაწარმოები ყველაზე ღრმა და, გარკვეული ტიპის მკითხველისთვის, სევდიან ტექსტად წარმოგვიდგება.

რაც შეეხება მეოცე საუკუნეს, სწორედ მასში მოხდა მაქსიმალური ვნებათაღელვა სერვანტესის ტექსტის ირგვლივ.

დონ ხუან დე ვალერას თანახმად, „კიხოტე“ რომელიც მავნებელი სარაინდო რომანების საპირისპიროდ არის დაწერილი, ამავე დროს წარმოადგენს თანამედროვე რომანის ნიმუშს, მის მოდელს. ეს არ არის სევდიანი, ან უარყოფითი თუ დესტრუქციული წიგნი, არამედ ღრმა და შესაქცევია და არათუ ახდენს სარაინდო იდეალის რღვევას, არამედ აღადგენს და ხოტბას ასხამს იმ დადებითს, რაც ამ უკანასკნელში მოიპოვება. ავტორი კიხოტესა და სანჩოს „მორალურად მშვენიერ“ არსებებად მიიჩნევს, რომლებიც ესპანური ერის სიამაყეა და წარმოადგენენ არა სიმბოლოებს, არამედ შექსპირის გმირების დარად, სიცოცხლით სავსე ესთეტურ ქმნილებებს, ხოლო სერვანტესი კი, უდავოდ არის მისი ეპოქის ადამიანი, რომლისთვისაც კათოლიკური მონარქიის იდეალები არის მისაღები, რის გამოც მას ვერ მოვთხოვთ მისი დროის თანამედროვე სამეცნიერო, პოლიტიკური, რელიგიური, მორალური თუ სოციალური იდეების ზიარებას.

მენენდეს პელაიოს თანახმად, სერვანტესს სურდა არა იდეალის მოკვლა, არამედ მისი გარდაქმნა და განდიდება. ის, რაც პოეტური, ლირიკული და ჰუმანური იყო რაინდული ცხოვრების წესში, სერვანტესმა უმაღლესი მნიშვნელობის მქონედ გამოსახა, ხოლო რაც საპირისპირო დატვირთვას მოიცავდა – სატირულად გამოხატა. ამგვარად, „კიხოტე“ პელაიოს აზრით, არის სარაინდო რომანების ბოლო, დასრულებული და ჩინებული გამონათქვამი, და ამავე დროს წარმოადგენს თანამედროვე რეალისტური რომანის უბადლო ნიმუშს.

რამონ ი კახალი სერვანტესის ტექსტში ღრმა პათეტიზმს ჭვრეტს, რაც ავტორის მიერ გმირის შეშლილად გამოცხადებით არის მოტივირებული, თუმცა აღნიშნავს, რომ ნაწარმოები ჯანსაღი იუმორითა და კეთილი აზრებით არის გაულებული. კინოტეს ფსიქოლოგიაში, რკინის ნებისყოფასთან ერთად, რამონ ი კახალი ურყევი რწმენის არსებობასაც აქცევს ყურადღებას.

ასორინის აზრით, თაობების ცვლა გახდა საჭირო იმისათვის, რომ „კინოტეს“ ჭეშმარიტი და ღრმა ღირებულება მკითხველისთვის ცხადი გამხდარიყო.

რამირო დე მანსეტუ მიიჩნევდა, რომ „კინოტეს“ შესაფასებლად აუცილებელია ეროვნული და ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინება, რომელთა ფონზეც ტექსტი დაიწერა. იგი ფიქრობს, რომ დროა ქვეყანას ახალი კინოტე მოველინოს, რომელიც შეშლილი და მოხუცი სერვანტესისეული კინოტესგან განსხვავებით, ბრწყინვალე და შესაბამისად შეიარაღებული იქნება.

ორტეგა ი გასეტის თანახმად, დონ კინოტეს შესახებ არსებული შეხედულებები მეტად განსხვავებულია – ზოგი კრიტიკოსი კინოტეს ფიგურით მოხიბლულია და მოგვიწოდებს გავკინოტედეთ, სხვა კი – პირიქით, მასში მხოლოდ აბსურდული არსებობის განსახიერებას ჭვრეტს. ავტორი წერს, რომ იმ იუმორისტული წარღვნისგან, რომელიც კინოტეს ცხოვრებაშია აღწერილი, მისი წმინდა ენერჯის მიღება არის შესაძლებელი. კინოტეში ორტეგა ადამიანის დანიშნულების საიდუმლოებას ჭვრეტს, როგორც ადამიანის, ისევე ერის. იგი მიიჩნევს, რომ უცხოელებს „კინოტეს“ განსხვავებული აღქმა აქვთ – მას საინტერესო ტექსტად მიიჩნევენ, ხოლო ესპანელები კი – ბედისწერად განიხილავენ. „დონ კინოტეს“ ორტეგა „კოლოსალურ ორაზროვნებად“, ხოლო თავად კინოტეს კი კითხვის ნიშნად, ესპანური საიდუმლოების დარაჯად მიიჩნევს. მსგავსი მიმართულებით მსჯელობა ავტორს მეტად პესიმისტურ დასკვნებს აწერინებს, რომლებიც ესპანეთის წარსულსა და ადამიანურ არსებობას შეეხება.

როგორც „დონ კინოტესა და სანჩოს ცხოვრების“ გამოქვეყნებამდე, ისე მის შემდეგ, უნამუნომ რამდენიმე ტექსტი გამოს-

ცა, რომლებშიც კინოტეს ფენომენის შესწავლას ცდილობდა.<sup>3</sup> თუმცა ხსენებული ტექსტი, რომლის თარგმანსაც წარმოგიდგენთ, მიჩნეულია უნამუნოს შეხედულებების მაქსიმალურ გამოხატულებად, რომელშიც ავტორი ცდილობს ისეთი ცნებების განმარტებას, როგორცაა *მარადიულობა*, *ჭეშმარიტება*, *რელიგია* და *სიცოცხლის აზრი*. საინტერესოა იმ წინასიტყვაობების გაცნობა, რომლებიც უნამუნომ წიგნის მეორე, მესამე და მეოთხე გამოცემებს მიუძღვნა. კერძოდ, მეორე გამოცემის პროლოგში ავტორი წერს: „დღეისათვის კინოტე ყველას ეკუთვნის, იგი თითოეული მკითხველის კუთვნილებაა და თითოეულ მათგანს მისთვის საკუთარი ახსნა-განმარტება გამოუძებნია, საიდუმლოს მქონე, ისევე როგორც ეს არის ბიბლიის შემთხვევაში. ჩემი წინამდებარე წიგნი იმით არის გამორჩეული, რომ მან ჩემს მკითხველებში ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია, რისი მტკიცებულებაც მისი მეორედ გამოცემის აუცილებლობა გახდა, ასევე ცოტა ხნის წინ გამოცემული მისი იტალიურ ენაზე შესრულებული თარგმანიც. ამავე დროს, მზადდება მისი ფრანგული თარგმანიც. ხოლო წინამდებარე წიგნის წარმატებად კი მიმაჩნია არა ის, რომ ვცდილობდი განმემარტა სერვანტესის მიერ ჩადებული აზრი, არამედ აღმეწერა ის, რაც მე ვიგრძენი მისი კითხვისას. [...] ვფიქრობ, რომ გამოგონილი პერსონაჟები ავტორის გონებაში ცოცხლობენ საკუთარი ცხოვრებით, გარკვეული ავტონომიით და შინაგან ლოგიკას ემორჩილებიან, რომელიც თავად ავტორის მიერაც კი არ არის გაცნობიერებული.“

1918 წლის მაისით დათარიღებულ წინასიტყვაობაში მესამე გამოცემისთვის ვკითხულობთ: „ამ გამოცემაში ვფიქრობდი, დამემატებინა გარკვეული პასაჟები, ხოლო ზოგიერთი არსებული კი შემეცვალა, რაც ჩემი უკანასკნელი წლების განმავლობაში შექმნილი კინოტური გამოცდილებით იყო ნაკარნახევი. განსაკუთრებით ეს შეეხებოდა კატორღელების გათავისუფლების ეპიზოდს, სადაც ვფიქრობდი, გამეგრცო ის ადგილი, როდეს-

---

3. Sobre la lectura e interpretación del Quijote, *La España moderna*, año XVII, núm. 196, Madrid, abril de 1905; ასევე სტატიები და ტექსტები, რომლებიც შეეხება, ან შთაგონებულია სერვანტესის ნაწარმოებით: *El sepulcro de Don Quijote*, *La bienaventuranza de Don Quijote*, *Del sentimiento trágico de la vida*, *El Cristo de Velázquez*, *Grandes, negros y caídos*, *Don Quijote y Bolívar*, *Sobre Don Juan Tenorio*.



საც კატორღელებმა ქვეები დაუშინეს კიხოტეს. [...] ამასობაში კი ჩემი წიგნის ოთხი თარგმანი გამოიცა: ორი იტალიურ ენაზე, ერთი გერმანულად, ერთი კი – ინგლისურად. ამ უკანასკნელის ავტორმა – პროფესორმა ჰომერ პ. ეარლმა, ჩემი ყურადღება იმ გარემოებაზე გაამახვილა, რომ ერთ ადგილას სანჩოს მივაწერდი იმ სიტყვებს, რომელსაც სერვანტესის ტექსტში სამსონ კარასკო ამბობს და მკითხა, თუ რა უნდა მოემოქმედა – შეეცვალა ხსენებული ადგილი, გამოეტოვებინა თუ დაეტოვებინა და განმარტება დაერთო, რათა თავი დაეცვა ერუდიტთა მოსალოდნელი შეტევებისგან. [...] აქვე აღვნიშნავ, რომ ვამზადებ ნაშრომს, რომელშიც შევეცდები, გავმიჯნო ერთმანეთისგან ყოფნა, არსებობა და სულდგმულობა. და რადგან დონ კიხოტე და სანჩო არიან – და არა მხოლოდ იყვნენ – თავისუფლები სერვანტესის პოეტურ ფიქციაში, ვიფიქრე მიმენიჭებინა მათთვის სიცოცხლე, შემდეგ კი მომეკვდინებინა, რის წინააღმდეგაც ის, სრული სიმართლით, გამოდიოდა“.

მეოთხე გამოცემის წინასიტყვაობა სულ ორ ხაზს მოიცავს, რომელშიც ავტორი აღნიშნავს, რომ არაფერი აქვს დასამატებელი. იგი 1930 წლის დეკემბრით თარიღდება.

ამგვარად, წარმოგიდგენთ უნამუნოს „დონ კიხოტესა და სანჩოს ცხოვრების“ ქართულ თარგმანს. ჩვენს ენაზე ეს არის წიგნის პირველი თარგმანი, რის გამოც მასში აუცილებლად იქნება გარკვეული ხარვეზები. გასათვალისწინებელია უნამუნოსეული წერისა და აზროვნების სტილი, რაც დამატებით ართულებდა თარგმნის პროცესს. შენიშვნებს მაღლიერებით მივიღებთ.

ვლადიმერ ლუარსაბიშვილი

მიგელ დე უნამუნო

დონ კიხოტესა და სანჩოს ცხოვრება

## პირველი თავი

[სადაც მოთხრობილია ცნობილი იდალგოს დონ კიხოტეს მდგომარეობისა და წვრთნის შესახებ]

არაფერია ცნობილი დონ კიხოტეს დაბადების, ბავშვობისა და ახალგაზრდობის, არც მისი რაინდად შედგომის რწმენის შესახებ, რომლის სიგიჟეც ჩვენ სიბრძნეს გვმატებს. არ ვიცით, ვინ იყვნენ მისი წინაპრები, რა წარმოშობისაა ან რომელ საგვარეულოს მიეკუთვნება ის. უცნობია მის სულში ლამანჩის მინდვრის გადაკვეთის სურვილის აღმოცენების მიზეზიც, ასევე, რამ აუშალა ყაყაჩოსა და მიხაკით მოფენილი მინდვრებით ტკობის საღერღელი. არაფერია ცნობილი მისი სიჭაბუკის შესახებ.

ცნობები მისი წარმოშობის, დაბადების, ბავშვობისა და სიჭაბუკის შესახებ არც ზეპირი და არც წერილობით სახით არ არის შემონახული, ხოლო რაიმე მსგავსი თუ არსებობდა, ეტყობა დაიკარგა, ან საუკუნეების მტვერი დაედო. არ ვიცით, მისმა მამაცმა და გმირულმა სულმა ბავშვობაშივე თუ იჩინა თავი, იმ დაბადებით წმინდანების მსგავსად, რომლებიც ბავშვობიდან ძუძუს არ წოვენ პარასკევობითა და მარხვის დღეებში, რათა ეწამონ და სამაგალითონი გახდნენ.

რაც შეეხება მის წარმოშობას, როგორც მან თავად გაუძხილა სანჩოს, როდესაც ემშვიდობებოდა ამ უკანასკნელს მამბრინის<sup>4</sup> ჩაჩქანის მოპოვების შემდეგ, იგი იყო „ცნობილი კეთილშობილი იდალგო, გარკვეული მდგომარეობისა და ქონების მქონე, რომელსაც შეურაცხყოფისთვის ხუთასი სოლდოს<sup>5</sup> მოთხოვნა

---

4. მატეო მარია ბოიარდოსა (1441–1494, იტალიელი პოეტი) და ლუდოვიკო არიოსტოს (1474–1533, იტალიელი პოეტი და დრამატურგი) პერსონაჟი, რომელიც ჯადოსნურ ჩაჩქანს ფლობდა.

5. მონეტა.

შეეძლო“<sup>6</sup> არ იყო მეფეთა შთამომავალი, თუმცა, ამისდა მიუხედავად, ის ბრძენი, რომელიც მის თავგადასავალს აღწერდა, შეძლებდა მითითებას, რომ იგი იყო მეფის მეხუთე ან მეექვსე თაობის შვილიშვილი. მით უფრო, რომ ფაქტობრივად არ მოიპოვება ადამიანი, რომელიც მეფის შთამომავალი არ იყოს, თუნდაც უტანტოსი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იგი ერთდროულად ჟამგადასული და არსებული საგვარეულოს შთამომავალი იყო. მისი საგვარეულო მისითვე იღებდა სათავეს.

ამის მიუხედავად, უცნაურია, რომ ჩვენი რაინდის ცხოვრებისა და სასწაულების შემსწავლელთა შორის არავის უცდია მისი ფესვების კვლევა, განსაკუთრებით კი ჩვენს დროში, როდესაც ადამიანის ბედს მის მემკვიდრეობას უკავშირებენ. ის, რომ სერვანტესს არ ვასჩენია მსგავსი სურვილი, ჩვენ არ გვაკვირვებს, რადგან მას სწამდა, რომ ადამიანი საკუთარი ქმედებების შვილია, რომ იგი მხოლოდ სიცოცხლესა და ქმედებებში არსებობს, მაგრამ ის, რომ მსგავსი კვლევა არ ჩაუტარებიათ ჩვენი დროის ინკვიზიტორებს, მათ, ვისაც გმირის მახვილგონიერებისთვის ესაჭიროებათ არკვიონ, იყო თუ არა მისი მამა შეპყრობილი ნიკრისის ქარით, სურდოთი ან სიელმით, მე ფრიად მაკვიფრებს. ამის ერთადერთ ახსნად კი ის გარემოება მესახება, რომ, მათ შორის გავრცელებული და ამაზრზენი აზრის თანახმად, დონ კიხოტე სხვა არაფერია, თუ არა გამოგონილი და ზღაპრული არსება, თითქოს ადამიანის ფანტაზიას შეეძლოს მსგავსი გამოგნებელი პერსონაჟის შექმნა.

პირველად ჩვენ წინაშე იდალგო მაშინ წარსდგა, როდესაც ორმოცდაათი წელი შეუსრულდა,<sup>7</sup> ღარიბად მცხოვრები ლა მანჩას რეგიონში, რომელიც „უფრო ხშირად ძროხის ხორცის

---

6. ძველი ესპანური კანონის თანახმად, კეთილშობილი წარმოშობის პირს მძიმე შეურაცხყოფისთვის ხუთასი სოლდოს მოთხოვნის უფლება ჰქონდა.

7. მე-16-17 საუკუნეებში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 30 წელი იყო და მოსახლეობის მხოლოდ 10 % ლახავდა აღნიშნულ ზღვარს და 70 წლამდე აღწევდა. შესაბამისად, 50 წლის ასაკში, დონ კიხოტე უკვე მოხუცებულად ითვლებოდა.